№ **2649/ს** **10 / დეკემბერი / 2018 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ, ბარისახოში მდებარე 424 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 -ის პრივატიზების მიზნით განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 ივლისის N27 განკარგულებით დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ, ბარისახოში მდებარე 424 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - საკადასტრო კოდი 71.65.78.173, შეტანილ იქნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, რომლის შემდგომ ქონება შეფასდა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ. შეფასების შემდგომ ქონება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N31 განკარგულებით დაემატა საპრივატიზაციო ობიექტების გეგმას. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 აგვისტოს N1929/ს ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი (ელ.აუქციონზე საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 5500 ლარი), რომელიც არ შედგა, ვინაიდან მასში მონაწილეობა არ მიიღო არც ერთმა პრეტენდენტმა. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 ოქტომბრის N2342/ს ბრძანებით კვლავ გამოცხადდა ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი იგივე ფასით და იგივე პირობებით. აუქციონი ამჯერადაც არ შედგა პრეტენდენტების არ არსებობის გამო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე." და ,,დ.ა." ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მეორე პუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N31 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ, ბარისახოში მდებარე 424 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 -ის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 71.65.78.173 პრივატიზების მიზნით;

2.ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 3300 ლარით;

3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 330 (სამას ოცდაათი) ლარით, ხოლო ბიჯის ოდენობა 165 (ას სამოცდახუთი) ლარით;

4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი